დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი

წევრები:

მარიამ ღუბელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლია სვიმონიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087621

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი
საფოსტო ინდექსი	3300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName https://mukhraniprime.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mtsMukhrani1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 316 319

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N MES 8 26 0000144286 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 5 და 6 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი; 2 შენობა-ნაგებობა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი; 2 შენობა-ნაგებობა
	საჯარო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი; 2 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი 2026 წლის 5 და 6 მარტს განხორციელდა. ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების კითხვარზე დართული დოკუმენტაცია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და მოვემზადებულიყავით უშუალო ვიზიტისათვის.

ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ჩატარდა გასაუბრებები საგნობრივ ექსპერტებსა და კათედრების წარმომადგენლებს შორის. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და ვიზიტის დროსვე წარმოადგინეს დაკორექტირებული დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სკოლის დირექციამ დროულად წარმოადგინა ვიზიტის დროს გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია.

საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადებში წარმოადგინეს შეფასების ფორმები. კურიკულუმის შეფასების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა მრავალწლიანი ტრადიციისა და გამოცდილების სკოლაა. სკოლას ორი კეთილმოწყობილი კორპუსი აქვს, გარე სპორტული მოედნებითა და შიდა დარბაზებით, სარეკრეაციო სივრცეებით, თანამედროვე სააქტო დარბაზით, მედიათეკით და საგნობრივი კაბინეტებით.

სკოლაში წახალისებულია არაფორმალური განათლება - თითოეულ კლუბს, პროექტსა და ღონისძიებას ხელმძღვანელობენ სათანადო კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლები.

<u>განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია</u>, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების კლუბის აქტიური თანამშრომლობა. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი. მათგან გამორჩეულია, სოფელ მუხრანში ტურიზმის განვითარებასა და აღდგენაზე ორიენტირებული პროექტი „აღმოაჩინე შენი სოფელი.“ პროექტის ფარგლებში, სკოლას საჩუქრად

გადაეცა ფაზლების დასამზადებელი დანადგარი; შედეგად, დასურათდა და ფაზლების სახით დაიბეჭდა სოფელ მუხრანის ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობები. მომზადდა ბროშურები და სახალისო დავალებები.

<u>დაწესებულებაში ფუნქციონირებს საერთო ფასეულობებისა და ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული გუნდი, რომლისთვისაც მნიშვნელოვან საყრდენ ძალას და ავტორიტეტს წარმოადგენს სკოლის დირექტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორიტეტისა და საქმიანი გარემოს უზრუნველყოფის გარდა, დირექტორი მხარდაჭერას უცხადებს თავის თანამშრომლებს.</u> დასაქმებულ პირებს გაზიარებული აქვთ სკოლის საერთო მიზნები, ასევე ის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც მისიისა და ხედვის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე პროცესების განხორციელებისათვის არის მნიშვნელოვანი.

.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ*	• ***დაწესებულებამ წარმოადგინოს სკოლის მეორე კორპუსის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში - 2027 წლის მარტის თვემდე.***

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა.	• ***დაწესებულებამ წარმოადგინოს უფლებამოსილი უწყების დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთა შესაბამისობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში - 2027 წლის მარტის თვემდე.*** • ***სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ეზოსა და მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სარეკრეაციო პარკის ღობით იზოლირება, შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში - 2027 წლის მარტის თვემდე.***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** *უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების* ***დაწყებითი საფეხური*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი **N 2.1.2.1**	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**მათემატიკა:** **რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში** კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს შემოქმედებითი პროდუქტის გამომხატველი დავალებით, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ.
ინდიკატორი ***N 2.1.2.2***	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის - ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ბმა საკითხს/საკითხთა კლასტერს და რესურსებს შორის, ასევე, საკითხს, შემოქმედებით დავალებას/დავალების იდეასა და რესურსებს შორის. **სახელმწიფო ენა (დაწყებითი საფეხური):** **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმებში (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში) გადაიხედოს და დაზუსტდეს შემოქმედებითი პროდუქტის მიმართება სამიზნე ცნებასთან და ქვესაკითხებთან.
.ინდიკატორი **N 2.1.2.3**	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია (კლასების მიხედვით) - წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები (რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა), დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები *კონკრეტული ცდის დასახელებით.* მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს რეალური ცდების პრაქტიკის არსებობა საგაკვეთილო

		პროცესში. კურიკულუმების ნაწილში (ქიმია) აღნიშნული რჩევა არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სრულად იქნა გათვალისწინებული, სხვა შემთხვევებში ნაწილობრივ (მითითებულია რესურსები, დასაკონკრეტებელია ცდის/ექსპერიმენტის დასახელება). დაგვეთანხმებით აღნიშნული რესურსების დაფიქსირება (ცდებთან მიმართებაში) ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ და მეთოდურად გააზრებულ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნების გათვალისწინებით. **მათემატიკა:** **მიეცათ რჩევა, დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ მთელი თემის დამუშავებისას.
ინდიკატორი N 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში დასამუშავებელ სამიზნე ცნებებთან კავშირში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით არის შედგენილი და მათ საფუძველზე შესაძლებელია შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

		რჩევა: განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები დაიხვეწოს ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მოერგოს კონკრეტული საკითხსა და დავალებას. შეფასდეს ამ დავალებაში წარმოდგენილი მოთხოვნები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის გასაზრდელად გაიცა რჩევა, რომ რუბრიკები გახდეს კოკნრეტული, შერჩეულ საკითხზე მორგებული და შეფასდეს დავალების მოთხოვნები.
ინდიკატორი N 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**მათემატიკა:** **რჩევა: დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების **საბაზო საფეხური*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების შიგნით უფრო მკაფიოდ *გამოჩნდეს ბმა* საკითხს/საკითხთა კლასტერს და რესურსებს შორის, ასევე, საკითხს, შემოქმედებით დავალებას/დავალების იდეასა და რესურსებს შორის. **სახელმწიფო ენა:**

		რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დანართის სახით სრულყოფილად აისახოს შემოქმედებითი დავალებების პირობა და კრიტერიუმები.
ინდიკატორი N 2.1.2.3	**საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია (კლასების მიხედვით) - წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები (რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა), დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს რეალური ცდების პრაქტიკის არსებობა საგაკვეთილო პროცესში. კურიკულუმების ნაწილში (ქიმია) აღნიშნული რჩევა არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სრულად იქნა გათვალისწინებული, სხვა შემთხვევებში ნაწილობრივ (მითითებულია რესურსები, დასაკონკრეტებელია ცდის/ექსპერიმენტის დასახელება). დაგვეთანხმებით აღნიშნული რესურსების დაფიქსირება (ცდებთან მიმართებაში) ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ და მეთოდურად გააზრებულ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. **საზოგადებრივი მეცნიერებები:**

		რჩევა: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში დასამუშავებელ სამიზნე ცნებებთან კავშირში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით არის შედგენილი და მათ საფუძველზე შესაძლებელია შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნა.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას და განხორციელდეს ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები, აქცენტით **საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ცოდნაზე**; თუ წრეები და კლუბები უფრო დაინტერესებულ მოსწავლეებზე არის ორიენტირებული, ექსკურსიები უზრუნველყოფს კლასის თითქმის ყველა მოსწავლის ჩართვას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კათედრის წლიური გეგმა ითვალისწინებდეს ექსკურსიებს საბუნებისმეტყველო საგნებში (ცალკე საგანში ან ინტეგრირებული). **რჩევა:** სასურველია, საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების ფორმირების მიზნით; სახალისო ცდებთან ერთად დაიგეგმოს სასწავლო კვლევითი პროექტები (მაგალითისათვის, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წყლების

		ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევა, ნიადაგის თვისებების კვლევა და სხვ.).
ინდიკატორი N 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია, უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით *სამიზნე ცნებებთან მიმართებაში*; შერჩეულ იქნას *სამიზნე ცნების* განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** პედაგოგებმა მოსწავლეებს სისტემატიურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულების წინ, რადგან ეს მათ დაეხმარებათ წინასწარ იცოდნენ თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება და როგორ უნდა შეასრულონ დავალება, რომ მაღალი შეფასება დაიმსახურონ. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები.
ინდიკატორი N 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს *შესაგამისი წარწერები* (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);

		რჩევა: სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილებზე და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; **რჩევა:** სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების ***კართოთეკა*** (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა); აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს რეალური ექსპერიმენტების ბარათების შექმნის კარგი პრაქტიკა ქიმიაში (ექსპერიმენტები ელექტროლიტებისა და არაელექტროლიტების გამოსაცნობად) და ბიოლოგიაში (უჯრედის მემბრანის შესწავლა შერჩევითი განვლადობის მოდელირების საშუალებით); საჭიროა ამ პრაქტიკას მიეცეს სისტემური ხასიათი, ჩენი აზრით ეს შესაძლებელია განხორციელდეს ცდების/ექსპერიმენტების კართოთეკის შექმნით; სასურველია აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს სამივე საგნისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) **რჩევა:** სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (გვ.34) სკოლის საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს პლაკატებს. სასურველია, მომზადდეს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) შესაბამისი კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატების) ***კატალოგი,*** ასევე, საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სახით აისახოს განსახილველი საკითხის შესაბამისი თვალსაჩინოება - პლაკატი (დასახელების მითითებით). ჩვენი აზრით, კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს პლაკატების სისტემურ და სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

		რჩევა: სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია", აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების **<u>საშუალო საფეხურის</u>** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების შიგნით უფრო მკაფიოდ *გამოჩნდეს ბმა* საკითხს/საკითხთა კლასტერს და რესურსებს შორის, ასევე, საკითხს, შემოქმედებით დავალებას/დავალების იდეასა და რესურსებს შორის. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** XI კლ. ისტორიის კურიკულუმში ორივე თემაში უნდა იყოს ყველა სამიზნე ცნება დამუშავებული და მოსწავლეების მიერ შესწავლილი.
ინდიკატორი N 2.1.2.3	**საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია (კლასების მიხედვით) - წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები (რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა), დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ

		მასწავლებლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს რეალური ცდების პრაქტიკის არსებობა საგაკვეთილო პროცესში. კურიკულუმების ნაწილში (ქიმია) აღნიშნული რჩევა არგუმენტირებული პროზიციის ეტაპზე სრულად იქნა გათვალისწინებული, სხვა შემთხვევებში ნაწილობრივ (მითითებულია რესურსები, დასაკონკრეტებელია ცდის/ექსპერიმენტის დასახელება). კურიკულუმში აღნიშნული რესურსების ცდებთან მიმართებაში *დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ და მეთოდურად გააზრებულ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში,* კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნების გათვალისწინებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე IX კლ. მოქალაქეობა და საშუალო საფეხურზე XII კლ. ისტორიის კურიკულუმებში დეტალურად უნდა მიეთითოს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა (ავტორები, გამომცემლობა, გვერდები და ა.შ.), რესურსები. აღნიშნული რჩევა ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული.
ინდიკატორი N 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. **საზოგადებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში დასამუშავებელ სამიზნე ცნებებთან კავშირში.

		წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით არის შედგენილი და მათ საფუძველზე შესაძლებელია შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნა.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას და განხორციელდეს ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები, აქცენტით **საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ცოდნაზე**; თუ წრეები და კლუბები უფრო დაინტერესებულ მოსწავლეებზე არის ორიენტირებული, ექსკურსიები უზრუნველყოფს კლასის თითქმის ყველა მოსწავლის ჩართვას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კათედრის წლიური გეგმა ითვალისწინებდეს ექსკურსიებს საბუნებისმეტყველო საგნებში (ცალკე საგანში ან ინტეგრირებული). **რჩევა:** სასურველია, საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების ფორმირების მიზნით; სახალისო ცდებთან ერთად დაიგეგმოს სასწავლო კვლევითი პროექტები (მაგალითისათვის, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წყლების ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევა, ნიადაგის თვისებების კვლევა და სხვ.).
ინდიკატორი N 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

		რჩევა: სასურველია, უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით *სამიზნე ცნებებთან მიმართებაში*; შერჩეულ იქნას *სამიზნე ცნების* განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **რჩევა:** პედაგოგებმა მოსწავლეებს სისტემატიურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულების წინ, რადგან ეს მათ დაეხმარებათ წინასწარ იცოდნენ თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება და როგორ უნდა შეასრულონ დავალება, რომ მაღალი შეფასება დაიმსახურონ. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები.
ინდიკატორი N 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა:** სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს *შესაბამისი წარწერები* (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); **რჩევა:** სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილებზე და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს *შესაბამისი წარწერები*;

		რჩევა: სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების ***კართოთეკა*** (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა); აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს რეალური ექსპერიმენტების ბარათების შექმნის კარგი პრაქტიკა ქიმიაში (ექსპერიმენტები ელექტროლიტებისა და არაელექტროლიტების გამოსაცნობად) და ბიოლოგიაში (უჯრედის მემბრანის შესწავლა შერჩევითი განვლადობის მოდელირების საშუალებით); საჭიროა ამ პრაქტიკას მიეცეს სისტემური ხასიათი, ჩენი აზრით ეს შესაძლებელია განხორციელდეს ცდების/ექსპერიმენტების კართოთეკის შექმნით; სასურველია აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს სამივე საგნისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) **რჩევა:** სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (გვ.34) სკოლის საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს პლაკატებს. სასურველია, მომზადდეს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) შესაბამისი კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატების) ***კატალოგი,*** ასევე, საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სახით აისახოს განსახილველი საკითხის შესაბამისი თვალსაჩინოება - პლაკატი (დასახელების მითითებით). ჩვენი აზრით, კურიკულუმში აღნიშნული რესურსების *დაფიქსირება ხელს შეუწყობს პლაკატების სისტემურ და სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში,* კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია", აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვის ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა და შესაბამისი მტკიცებულებები. ექსპერტებმა შეისწავლეს დოკუმენტაცია და სრულად გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც 1 ხარვეზი სრულად აღმოიფხვრა, სამი კი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. კერძოდ:

ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*ხარვეზი: პერსონალის რამდენიმე თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი დანაშაულის არ ქონის შესახებ.* ***<u>ხარვეზი სრულად აღმოფხვრილია;</u> დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები.***

ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის*	*ხარვეზი:* • *დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სკოლის მეორე კორპუსის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (კორპუსი აშენებულია 2013 წელს).* • *დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი უწყების დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.* • *სკოლის ეზო არ არის სრულად ღობით იზოლირებული - მას ესაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სარეკრეაციო პარკი.*

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	*<u>მეტწილად შესაბამისია:</u> დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზების აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 12 თვემდე პერიოდი - 2027 წლის მარტის თვემდე.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა:

სკოლის მისიაა:

უსაფრთხო, თანამშრომლობით, საქმიან და ინკლუზიურ გარემოში, მუდმივ სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომებით, მაღალი კომპეტენციების მქონე მასწავლებლებისგან თემის/მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებაზე, საგნის სწავლების და ცხოვრების კავშირის გამოკვეთაზე აქცენტირებული ფორმალური და არაფორმალური, ასევე პროფესიული განათლების იმგვარი მიწოდება, რომ სხვადასხვა მიმართულებით გაფართოვდეს მოსწავლეთა თვალსაწიერი. ჩამოუყალიბდეთ დემოკრატიული კომპეტენციები და გამჭოლი უნარები - შემდგომი პასუხისმგებლობების გააზრების, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების, წარმატების დაგეგმვის, მართვაში თანამონაწილეობის, საკუთარი თავის ცხოვრებაში დამკვიდრების მიზნით.

სკოლის ხედვაა:

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა არის უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული, პარტნიორულ ურთიერთობებზე დამყარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც პასუხობს თემის საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობს ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოში ხარისხიანი სწავლის, პიროვნული და პროფესიული განვითარების და გონივრული დასვენების საშუალებას. სკოლის კურსდამთავრებული წარმოადგენს საზოგადოებისთვის საჭირო, 21- ე საუკუნის უნარებით აღჭურვილ, მოტივირებულ მოქალაქეს, რომელსაც შეუძლია ფიზიკურ თუ ინტერნეტ სივრცეში ლავირება, თვითრეალიზაცია და სარგებლის მოტანა საკუთარი თავის, სოციუმისა და ქვეყნისთვის.

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულების მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის შენარჩუნების მიზნით, სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. აღნიშნული აქტივობები მიზნად სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას. სკოლას განხორციელებული აქვს მრავალფეროვანი ღონისძიებები, შიდასასკოლო გამოფენები, დამატებითი მომსახურებები კლუბებისა და წრეების სახით, პროფესიული განათლების ხელშემწყობი აქტივობები, ოლიმპიადები, სპორტული გასართობი და შემეცნებითი აქტივობები (შეჯიბრებები სკოლის მასშტაბით და სკოლებს შორის) და სხვა.

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით (სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, განხორციელებული გამოკითხვები და შედეგების ანალიზი, სკოლის სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესის აღწერილობითი დოკუმენტი), სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა და ღირებულებები - შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მისი წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით.

კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა 22 ადამიანით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი (2023 წლის 1 მაისის ბრძანება N10-1), რომელმაც მოამზადა კითხვარები სკოლის საჭიროებების კვლევისთვის და განახორციელა გამოკითხვა.

სკოლის დირექტორმა, კვლევის შედეგების გაზიარებისა და სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების მიზნით, სასკოლო საზოგადოებასთან 2023 წლის 12 ივლისს ჩაატარა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც წარადგინა გამოკითხვის შედეგები. ამავე შეხვედრაზე, დამსწრე

საზოგადოებას სთხოვა მოხალისეობრივი მონაწილეობა მიეღოთ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შექმნაში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას დაემატა 49 მოხალისე - 20 მოსწავლე და 20 მშობელი და 9 სკოლის თანამშრომელი.

71 ადამიანისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი განაწილდა 7 ჯგუფად ისე, რომ თითოეულ ჯგუფში მშობელი, მოსწავლე, მასწავლებლის კომბინაცია ყოფილიყო უზრუნველყოფილი. სკოლის დირექტორმა მონაწილეებს აუხსნა სკოლის მისიის ჩამოყალიბების კონცეფცია. ჯგუფებმა პირველ ჯერზე იმუშავეს მისიაზე, შემდეგ ხედვაზე და ბოლო ნაწილში შეიმუშავეს ღირებულებები (საუშაო ვერსიები). სამუშაო ვერსიები შეისწავლეს სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ჯგუფის წევრებმა და შეიმუშავეს საბოლოო ვერსიები, რომლებიც გაზიარდა სკოლის სივრცეში, მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფებში და წარდგენილ იქნა სააქტო დარბაზში, სასკოლო საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრაზე უკუკავშირის მოსმენისა და საბოლოო შეთანხმების მიზნით.

აღნიშნული პროცესები დადასტურებულ იქნა მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, აგრეთვე სასკოლო სივრცეში ჩატარებული პრეზენტაციებით, რომლებიც ასახავდა გამოკითხვების შედეგად გამოკვეთილ პრიორიტეტებს და საყურადღებო საკითხებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ვიზიტის დროს, ინტერვიუირებისა და მსჯელობის პროცესში, არა ერთხელ გამოიკვეთა სკოლის დირექტორის, თანამშრომლებისა და პედაგოგების მიერ სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე. მათ გააზრებული და გაზიარებული აქვთ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და მათ მიერ დაგეგმილი აკადემიური თუ კლასგარეშე აქტივობები მიემართება სკოლის მიზნების განხორციელებას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარებას და საჯაროობას. სკოლის მისია და ხედვა ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდებსა და ფეისბუქ გვერდზე. ისინი ასევე თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ორივე კორპუსში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 12 დეკემბრის N 203/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ,“ რომლის

მიხედვითაც სკოლის სტატუსად და სახელწოდებად განსაზღვრულია: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო საზოგადოების კვლევის კითხვარები;
- გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია (Power Point);
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის აღწერის დოკუმენტი;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName
  https://mukhraniprime.edu.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 2023 წელს; მასში განსაზღვრულია სასკოლო ფილოსოფიის შემუშავების პროცესის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები.

სკოლის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა სკოლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში, ერთი მხრივ ჩამოყალიბდა ონლაინ გამოკითხვის შედეგად, ხოლო მეორე მხრივ პირისპირ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, 2023 წლის 13 ივლისს, როცა სკოლის დირექტორმა პირველ რიგში გააზიარა სკოლის ფილოსოფია და ითხოვა მასზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფს შეემუშავებინა სტრატეგიული მიმართულებები მიზნები და ამოცანები.

სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის, სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება
2. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ადგილზე.
3. მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა სწავლის შემდგომი საფეხურისთვის მოსამზადებლად
5. ოჯახებისა და თემის ჩართულობის ხელშეწყობა
6. ინფრასტრუქტურის განვითარება და რესურსებით უზრუნველყოფა

ექსპერტებმა საინტერესოდ მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ სკოლას განხორციელებული აქვს SWOT ანალიზი თითოეული სტრატეგიული მიმართულებისათვის, რაც პროცესების სიღრმისეული გააზრებისა და დაგეგმვის წინაპირობაა. SWOT ანალიზის შედეგები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი მიზნების შესრულებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომავდი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, ნათლად არის წარმოდგენელი შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სამუშაო პროცესის აღმწერი დოკუმენტი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების მიზნით.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასებას და მონიტორინგს. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიაზრებს პროცესის ციკლურობას: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს მონიტორინგის მთლიან პროცესს: სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მიზნების მიღწევას, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და სხვა შესაბამის ამოცანებს.

. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, <u>**სტრატეგიული გეგმის**</u> მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

<u>**სამოქმედო გეგმის**</u> მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება მოიცავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სამოქმედო გეგმის ინდიკატორების საფუძველზე. თითოეულ ინდიკატორს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქვს დადასტურების წყარო. სკოლას ორგანიზაციულ დრაივზე (Microsoft Teams Cloud) შექმნილი აქვს შესაბამის საქაღალდეები; საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები ინდიკატორების დადასტურების წყაროებს სწორედ შესაბამისი ინდიკატორის საქაღალდეში განათავსებენ. დადასტურების წყარო შესაძლოა იყოს ოქმი, სურათი, შევსებული კითხვარი, გაკვეთილის გეგმა, ანგარიში და სხვა.

მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის დასასრულს; .დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

ინდიკატორების მონიტორინგის შედეგად, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირის / ჯგუფის მიერ მოხდება სტრატეგიული მიზნების მიღწევის/ სამოქმედო გეგმის შესრულების ნარატიული ანგარიშების მომზადება და/ან ჩეკლისტის შევსება შესრულების დამადასტურებელი მასალის დრაივზე განთავსება.

მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა ხარისხის მართვის ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს.

ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ამზადებს ერთიან ანგარიშს სადაც სამოქმედო გეგმის თითოეულ ინდიკატორს სამოქმედო გეგმაში ანიჭებს შეფასებას ,,შესრულებული", ,,გასავითარებელი", ,,შეუსრულებელი" და შეფასების სკალაზე გეგმის ინდიკატორების შესრულების შეფასების დიაგრამას . <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს ვებ-გვერდის, საინფორმაციო დაფისა და ბეჭდური გამოცემების საშუალებით. სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ონლაინ სივრცეში, სასკოლო საზოგადოების წევრებს უზიარდებათ სტრატეგიული გეგმისა და მონიტორინგის შედეგების მოკლე ანგარიში. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, იქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სამოქმედო გეგმების მომზადებისთვის.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამუშაო პროცესის აღმწერი დოკუმენტი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების მიზნით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1), რომლებიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორებიცაა: საკადრო პოლიტიკა, პროფესიული განვითარების მექანიზმები, სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი (მეორე კორპუსის), ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ექთანი, ბიბლიოთეკარი (2), დარაჯი (5), ცეცხლფარეში (2), დამლაგებელი (7), სპეციალური მასწავლებელი (2- უფროსი პედაგოგის სტატუსით), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (3); სულ პედაგოგიური პერსონალი - 61. თანამშრომელთა ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების წინაპირობაა სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1), რომელშიც გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა.

ვიზიტის დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს საერთო ფასეულობებისა და ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული გუნდი, რომლისთვისაც მნიშვნელოვან საყრდენ ძალას და ავტორიტეტს წარმოადგენს სკოლის დირექტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორიტეტისა და საქმიანი გარემოს უზრუნველყოფის გარდა, დირექტორი დიდ მხარდაჭერას უცხადებს თავის თანამშრომლებს. დასაქმებულ პირებს გაზიარებული აქვთ სკოლის საერთო მიზნები, ასევე ის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც მისიისა და ხედვის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე პროცესების განხორციელებისათვის არის მნიშვნელოვანი. მშობლები და მოსწავლეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია, ვის უნდა მიმართონ სხვადასხვა სიტუაციაში ინფორმაციის ან მხარდაჭერის მისაღებად. პირველ რგოლად სახელდება დამრიგებელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლესა და მშობელს ამისამართებს დირექტორის მოადგილესთან და სკოლის დირექტორთან. კათედრის ხელმძღვანელებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობები პედაგოგების მხარდაჭერის კუთხით; პედაგოგები ზრუნავენ საგაკვეთილო პროცესის ხარისხიანად წარმართვასა და მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებისა და პროექტების შეთავაზებაზე. ტექნიკური გუნდი კი უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობას და მეთვალყურეობას. იგრძნობა დირექციის მიმართ ანგარიშვალდებულება, რომელიც თავის მხრივ ზრუნვას მმართველობითი, საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესების ეფექტურად განხორციელებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1);
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1), რომელშიც ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და, ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს.

დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების, და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან დაუგეგმავი გაცდენის შეთხვევაში, სკოლის დირექცია აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიკაციას: გაკვეთილების გადანაცვლებას, იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის შეშვებას გაკვეთილზე. გარდა ამისა, განსაზღვრულია ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ჩანაცვლების სისტემაც; მაგალითად, დირექტორის მოვალეობას, მისი არყოფნის შემთხვევაში, ასრულებს დირექტორის მოადგილე. საქმისმწარმოებლის სკოლაში გამოუცხადებლობისას მის ფუნქციებს ითავსებს საინფორმაციო მენეჯერი, და პირიქით. დარაჯები და დამლაგებლები, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებენ ერთმანეთის მოვალეობებს და სხვ. ვაკანსიის გამოცხადების

წესის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია პოზიციის ვაკანტურად ცნობამდე გამოაცხადოს კონკურსი, თუ არსებობს საფუძველი/ინფორმაცია რომ ახლო მომავალში თანამშრომელი დატოვებს დაკავებულ პოზიციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად.

ვიზიტის დროს, შემოწმდა საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები და სხვ.), რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან.

პერსონალის პირადი საქმეების უმრავლესობა მოწესრიგებულია - საქაღალდეებში წარმოდგენილია საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები.

ხარვეზი: ტექნიკური პერსონალის რამდენიმე თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი დანაშაულის არ ქონის შესახებ. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო ნაბიჯების გადადგმა აღნიშული საკითხის მოსაგვარებლად.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა თანამშრომლის ცნობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 59 მასწავლებელი, მათ შორის 8 წამყვანი, 46 უფროსი, 2 მაძიებელი, 3 მოწვეული მასწავლებლის სტატუსით; სკოლა მუდმივად ცდილობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით აცხადებს ღია კონკურსს, კონკურსის გამოცხადებისას მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის დროს, სკოლამ საგნობრივი ექსპერტის რჩევით

გამოაცხადა კონკურსი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების შერჩევის მიზნით, ვინაიდან დაწყებით საფეხურზე რამდენიმე საათი გადანაწილებული ჰქონდათ დაწყებითი საფეხურის უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლებს, ისე რომ არ უდასტურდებოდათ ესთეტიკის ჯგუფის საგნების სწავლების კვალიფიკაცია. აღნიშნული გამოწვეული იყო კადრების სიმცირით, ვინაიდან სკოლას წარსულში არაერთხელ ჰქონდა კონკურსი გამოცხადებული შესაბამისი პედაგოგების შესარჩევად.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი (მეორე კორპუსის), ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ექთანი, ბიბლიოთეკარი (2), დარაჯი (5), ცეცხლფარეში (2), დამლაგებელი (7), სპეციალური მასწავლებელი (2- უფროსი პედაგოგის სტატუსით), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (3); სულ პედაგოგიური პერსონალი - 61; თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, თვალშისაცემი იყო სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეების, კათედრებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინიცირებითა და ჩართულობით არის განხორციელებული. ეს ყოველივე მეტყველებს მაღალი თანამშრომლობითი კულუტრისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე მეტყველებს.

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად არის განსაზღვრული თანამშრომლის ადაპტაციის, პერსონალის სოციალიზაციისა და მოტივაციის მექანიზმები. თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი; სკოლის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული თანამშრომლებისა თუ მოსწავლეების განსაკუთრებული მიღწევების შესახებ ინფორმაცია, გამოფენილია განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შედეგად შექმნილი პროდუქტი და ვიზუალური მასალა, არაერთი პოსტერი და პლაკატი. სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები იყოს აღიარებული და სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის გაზიარებული. ამ მიზნით, სკოლა პედაგოგებს წარადგენს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსზე;

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. მასწავლებელთა მოტივაციის მიზნით, კათედრის ხელმძღვანელი პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარადგენს პირის წარმატებულ გამოცდილების შესახებ ინფორმაციას; კათედრის ხელმძღვანელი ასევე უფლებამოსილია სკოლის დირექციას წარუდგინოს მასწავლებლის კანდიდატურა წახალისების მიზნით. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1);
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას გააზრებული აქვს რომ მისი განვითარება, დიდწილადაა დამოკიდებული დასაქმებული პირების კომპეტენციების სრულყოფაზე. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს, რადგან კომპეტენტური მასწავლებელი ქმნის მოსწავლის წარმატებულ მომავალს, კვალიფიციური მენეჯმენტი კი სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ეფექტურ გარემოს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, სკოლის პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანება, მონიტორინგის ფორმები. გარდა ამისა, სკოლის სხვადასხვა მოქმედ პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართულობის შედეგად თვალნათლივ დგინდება თუ რა მიმართულებით ესაჭიროება პროფესიული განვითარება ამა თუ იმ პირს. ამ მეთოდების გამოყენებით ხორციელდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასებისა მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შემდეგ კი შედეგების ანალიზის გეგმავს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას. ადამიანური რესურსების განვითარება გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, მასწავლებლები თავადაც იძიებენ ინფორმაციას ბაზარზე არსებული განვითრების ხელშემწყობი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულება ჩართული იყო არაერთ საგანმანთლებლო პროექტში, რომლის ფარგლებშიც მიიღო საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების რესურსები მატერიალური და ციფრული სახით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. მასწავლებელთა უმრავლესობა არის წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი. სკოლის მასწავლებლებს აქვთ სრული მხარდაჭერა პროფესიული თუ კარიერული განვითარების გზაზე, რაც გამოიხატება

მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

კერძოდ, მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ვებინარებს. გასულ სასწავლო წელს, დირექტორის ინიციატივით, სკოლაში განხორციელდა მასწავლებლის პროფესიული კავშირის წარმომადგენლების ვიზიტი ტრენინგით თემაზე ,,პროექტული სწავლება''. დირექციის ინიციატივით არაერთი შეხვედრა წარიმართა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერთან თემაზე: მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენა, ისგ-ს მომზადება. სკოლაა აქვს მზაობა, ჩაერთოს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა თუ პროექტებში და ახალი გამოცდილების შეძენა-დანერგვით ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სკოლას აქვს ისეთ მნიშვნელოვან პროგრამებში/პროექტებში ჩართულობის მრავალწლიანი გამოცდილება როგორებიცაა: ,,GPRIED კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე"; ,,ახალი სკოლის მოდელი," ,,ციფრული სკოლა საქართველო," ,,ლიდერობის აკადემია". აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობამ მასწავლებლებს შესძინა ისეთი უნარები, რომლებიც ხელს უწყობს მათ პროფესიულ და სასწავლო გარემოს განვითარებას. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს პერსონალის განვითარების შიდა აქტივობებიც: მიმდინარე წელს ი.ს.ტ.-ის მასწავლებელი, სკოლის ბაზაზე, მხარდაჭერას უწევს პედაგოგებს ი.ს.ტ. უნარების განვითარებისთვის.

პედაგოგები სისტემატიურად ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/ მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებასა და ინფორმაციულობაზე. აღნიშნული გადამზადება ხელს უწყობს სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში არის პედაგოგთა და თანამშრომელთა ძალზე შეკრული და პატივისცემაზე ორიენტირებული გუნდი და დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის წესის მიხედვით განსაზღვრული მიდგომები კი ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეექმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა.

თანამშრომლის მიღებისას, დირექტორი და/ან მისი მოადგილე (მასწავლებლის მიღების შემთხვევაში კათედრის თავმჯდომარე, ტექნიკური პერსონალის შემთხვევაში კი მნე) ხელშეკრულების გაფორმებამდე ხვდება მას და აცნობს სკოლის კულტურას, ფილოსოფიას, ინფრასტრუქტურას, მასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, შინაგანაწესს და ხელშეკრულებაში გაწერილ ფუნქცია-მოვალეობებს.

დასაქმებულს ეძლევა საშუალება მისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე მიიღოს პასუხები არაფორმალურ გარემოში. ახალ პედაგოგს კათედრის თავმჯდომარე, ადაპტაციის პერიოდში, უფრო აქტიურად ეკონტაქტება და საჭიროების შემთხვევაში აძლევს დამატებით რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროგრამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. <u>მიმდინარე პროცესების ხარისხის მართვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია წამყვანი მასწავლებლებით და ტექნიკური პერსონალით -სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.</u>

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. მუდმივად ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.

დაწესებულებას სხვადასხვა პროცედურულ დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესების მონიტორინგისა და რევიზიის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს მას განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების შენარჩუნების მექანიზმები. <u>**ამ პროცესის ნათელი მაგალითია, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმები და განხორციელებული აქტივობები;**</u> ასევე, კათედრების წევრების მუშაობა, რომლებიც დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებლებს აძლევენ რჩევებს, აფასებენ მათ განმავითარებელი შეფასებით, ამოწმებენ რამდენად იქნა გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში, იღებენ დამატებით ზომებს როგორებიცაა ტრენინგებში ჩართვა, დამატებითი მუშაობა კათედრებზე, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და სხვა.

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ადაპტაციის წესი, სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

საჩივრის განცხადების წარდგენა შესაძლებელია პირადად, ფოსტით ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. საჩივრებს განიხილავს დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში კი ამისამართებს დისციპლინურ კომიტეტთან. დისციპლინური კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილია სამეურვეო საბჭო. დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე,

სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/მუშაობის წესი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დაწესებულება აქტიურად წაახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში.

ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

პროცესების დასაგეგმად ,შესაფასებლად, კმაყოფილების თუ უკმაყოფილების ხარისხის დასადგენად სკოლაში ტარდება შეხვედრები/ გამოკითხვები/დისკუსიები. შინაგანაწესით დაშვებულია ,,დირექტორთან შეხვედრის დღე.“ პასუხიმგებელი პირები აწარმოებენ ანგარიშებს (პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური უკუკავშირი). აზრთა გაცვლა-გამოცვლას, უკუკავშირის გააზრებას, მოსდევს შესაბამისი რეაგირება. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ სხვადასხვა შემოქმედებითი ხასიათის მქონე დავალებების ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კითხვარების ანალიზი, SWOT ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულება სარგებლობს მანდატურის სამსახურით. სკოლის ორივე შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- 2023 წელს, სკოლის პირველი კორპუსის რეაბილიტაციის დაწყებამდე გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზა);

ხარვეზი:

- **დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი:** სკოლის მეორე კორპუსის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (კორპუსი აშენებულია 2013 წელს).
- **დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი:** უფლებამოსილი უწყების დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ 2025 წლის დეკემბერის თვეში მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს I და მეორე კორპუსების სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შემოწმების მიზნით, რის შემდგომაც განხორციელდა ვიზიტი სკოლის ორივე შენობა-ნაგებობაში. სკოლამ წარმოადგინა ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი 2026 წლის 11 თებერვლის N50 აქტი (I კორპუსისათვის) და 2026 წლის 12 თებერვლის N51 აქტი (II კორპუსისათვის), რომლებითაც დგინდება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე, სსიპ - ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლის (პირველი კორპუსი) (ს/ნ: 236087621); (ს/კ 72.09.18.191) და (მეორე კორპუსი) (ს/ნ: 236087621); (ს/კ 72.09.16.245) შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
- **სკოლის ეზო არ არის სრულად ღობით იზოლირებული - მას ესაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სარეკრეაციო პარკი.** აღსანიშნავია, რომ პარკის ტერიტორია ეკუთვნოდა დაწესებულებას, თუმცა დღესდღეობით აღარ არის სკოლის მფლობელობაში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. ვინაიდან სკოლის მიწის ნაკვეთისა და სარეკრეაციო პარკის ტერიტორიები არ არის ფიზიკურად გამიჯნული, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა არ არის უზრუნველყოფილი. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორი სრულად აცნობიერებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას, რაც გამოიხატება შესაბამის სტრუქტურებთან გაგზავნილი წერილობითი მიმართვებით. გარდა ამისა, სკოლაში დაწესებულია მორიგეობის ცხრილი და მოსწავლეების გადაადგილება ეზოს გაუმიჯნავ ნაწილზე, მკაცრად გაკონტროლებულია.</u>

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებითაც დგინდება, რომ სკოლა ხარვეზების აღმოხვრას გეგმავს 12 თვემდე პერიოდში - ***2027 წლის მარტის თვემდე.***

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.**</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

დაწესებულების ორივე კორპუსში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ექიმი და ექთანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ სკოლის მოსწავლეებსა და დასაქმებულებს.

დათვალიერებით დადგინდა, რომ ორივე კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმს და ექთანს მოწესრიგებული აქვთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და აწარმოებენ მედიკამენტების აღრიცხვას. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულება სარგებლობს მანდატურის სამსახურით. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე, მეორე კორპუსის ადმინისტრატორი და დირექტორი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით

დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერ-ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა მოეწყო.
მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მეგობრული და უსაფრთხო გარემოა, დისციპლინას დიდი ყურადღება ექცევა როგორც დაწესებულებაში ქცევის, ისე გაკვეთილებზე დასწრების კუთხით. დამრიგებელი ყოველთვის ატყობინებს მშობლებს მოსწავლის გაცდენის შესახებ, გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების შესახებ. აქედან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სკოლაში დასაქმებულია 7 (5 პირველ კორპუსი და 2 მეორე კორპუსში) დამლაგებელი, თუმცა სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში სისუფთავისა და წესრიგის შენარჩუნებაში. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ექიმი აქტიურად ამოწმებენ ჰიგიენურ მდგომარეობას შენობებსა და სასადილოებში. **სკოლაში თვალშისაცემია სისუფთავე, მოვლილი გარემო, ორგანიზებული ნივთები და სასკოლო ინვენტარი.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ. პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლის მხრიდან გააზრებულია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტი. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არა ავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის არგუმენტირებული პოზიცია - ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა და შესაბამისი მტკიცებულებები;
- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
- ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი 2026 წლის 11 თებერვლის N50 აქტი (I კორპუსისათვის) და 2026 წლის 12 თებერვლის N51 აქტი (II კორპუსისათვის);
- 2023 წლის დასკვნა სკოლის I კორპუსის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (რეაბილიტაციის დაწყებამდე);
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შინაგანაწესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერებით (13/02/2026 და 23/02/2026) დგინდება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე სსიპ - ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა ფლობს ორ სასწავლო კორპუსს: პირველი კორპუსი (ს/ნ: 236087621) (ს/კ 72.09.18.191) და მეორე კორპუსი (ს/ნ: 236087621) (ს/კ 72.09.16.245). სკოლის ორივე კორპუსი, შესაბამისი მიწის ფართით, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას სარგებლობაში გადაეცა არსებობის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

სკოლის პირველი კორპუსი განთავსებულია 20010 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და შედგება ორი ძირითადი შენობისა (შენობა N1 - 4079 კვ.მ.; შენობა N2 – 1800.6 კვ.მ.) და დამხმარე შენობა-ნაგებობისაგან. კორპუსის ეზოში განთავსებულია 4 სპორტული მოედანი და ჭიდაობის დარბაზი. ახლად რეაბილიტირებულ, სამსართულიან შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, თანამედროვედ მოწყობილი სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი და გასახდელები; შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, ყველა სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. პირველ სართულზე ფუნქციონირებს სასადილო.

სკოლის მეორე კორპუსი განთავსებულია 3503.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და შედგება ერთი ძირითადი შენობისა (შენობა N1 - 2580 კვ.მ.) და 1 დამხმარე შენობა-ნაგებობისაგან. კორპუსის ეზოში განთავსებულია 1 სპორტული მოედანი. შენობა სამსართულიანია, აშენდა 2013 წელს და საჭიროებს კოსმეტიკურ სამუშაოებს. შენობაში მოწყობილია საკლასო ოთახები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია, თანამედროვე მედიათეკა, სპორტული დარბაზი და გასახდელები; შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, ყველა სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მხარდაჭერისათვის საჭირო ციფრული რესურსი: პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები, ეკრანები და ტელევიზორები. სკოლის შენობაში არის სივრცე, სადაც შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

კომპიუტერული კაბინეტები სრულად აღჭურვილი და კეთილმოწყობილია; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებს აქვთ საპრეპარატორო, გამწოვი სავენტილაციო სისტემები და სველი წერტილები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის პირველ კორპუსში არის ბიბლიოთეკა და მეორე კორპუსში - თანამედროვე მედიათეკა, რომლებიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, აგრეთვე თანამედროვე, ილუსტრირებულ, მხატვრულ, შემეცნებით და სამეცნიერო ლიტერატურას. ლაბორატორიები აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია-ლაბორატორიის კომპლექტით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. დაწესებულება ფლობს პროექტორებსა და მონიტორებს, რომლებსაც რეგულარულად იყენებენ პედაგოგები. ლეპტოპები და პერსონალური კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ-ქსელში. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტები, სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობას, განხორციელდეს არაერთი სასკოლო პროექტი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის საბიბლიოთეკო რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში და მეორე კორპუსის მედიათეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი

საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. ორივე ბიბლიოთეკაში ინახება მშობლიური და საზღვარგარეთის ლიტერატურა, ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ორივე სივრცეში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არსებობს წიგნების გაცემისა და აღწერის ჟურნალი. წიგნები აღრიცხულია როგორც მატერიალურად, აგრეთვე ელექტრონულადაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახები. სკოლის ორივე კორპუსის შესასვლელი ადაპტირებულია - დამონტაჟებულია პანდუსი, შესაბამისი მოაჯირით. ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები, ორივე შენობაში დამონტაჟებულია თანამედროვე ლიფტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელში - facebook გვერდზე.

სკოლის ფართობი მაქსიმალურად ეფექტურად არის გამოყენებული. სოციო-კულტურული და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებისთვის, სკოლა იყენებს სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, მედიათეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტებს, სპორტულ მოედნებს, ეზოს, და სხვა რესურსებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებში ხორციელდება არა ერთი საინტერესო პროექტი სკოლის როგორც სოციალური სივრცის, ისე კულტურულ კერად ჩამოყალიბებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ორივე კორპუსისათვის;
- საკადასტრო ნახაზები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის კომისიის ბრძანება;

- ინვენტარიზაციის ოქმი;
- facebook-ის გვერდი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულებაში არსებობს ყველა საშუალება იმისათვის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წახალისებული იყოს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესში.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერისა და ქსეროქსის აპარატით. სკოლაში ხელმისაწვდომია მუდმივი ინტერნეტი როგორც ქსელური ისე უკაბელო (WI-FI) სახით.

დაწესებულებაში არის კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც კომპიუტერების გარდა აღჭურვილია პროექტორითა და ეკრანით.

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სკოლაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, საშუალებას აძლევს მათ ინფორმაციის პასიური მიმღებნი კი არ იყვნენ, არამედ თავად მოახდინონ სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნა. უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარებს; სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი მეთოდური და სასწავლო ელექტრონული რესურსების

ხელმისაწვდომობას; ელექტრონული ლაბორატორიების გამოყენებას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის; პედაგოგებს შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

მიმდინარე წელს, ი.ს.ტ. პედაგოგის ინიციატივით, სკოლაში ხორციელდება ციფრული უნარების გასაუმჯობესებელი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები პედაგოგებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ელექტრონული რესურსების, თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიები შემეცნებითი და არაფორმალური აქტივობების ფარგლებში განსახორციელებელი მიზნებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმიანობის წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის'' შესაბამისად, სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და მატერიალური, ხოლო შემოსული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს <u>კვალიფიციური საქმისმწარმოებელი, რომელიც გამოირჩევა წესრიგით და ორგანიზებულობით.</u> <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - Eflow, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების - ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვ. - რეგისტრაცია. სკოლა ასევე სარგებლობს eSchool.emis.ge ბაზით და თიმსის პორტალით. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს განრიგის შექმნას (გაკვეთილების ცხრილი სემესტრის მიხედვით) საგნების განაწილებას, კლასების შექმნას, ლიმიტების მითითებას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, კლასის/დონის დაძლევა. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მაკონტროლებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც დაწესებულება ურთიერთობს სამინისტროსთან. სკოლა მუდმივად ცდილობს შემოსულ წერილებში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო დროის დაცვით გადაეგზავნოს ადრესატებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებლ უწყებებთან ანგარიშებისა სკოლა ურთიერთობს სხვადსხვა უწყებასთან.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ასევე, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს). **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ჩარიცხვის, მობილობის, დონის დაძლევის შესახებ;
- ამონაწერი საინფორმაციო სისტემიდან eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა აქტიურად სარგებლობს სოციალური ქსელით: https://www.facebook.com/profile.php?id=61555295126364 ; https://www.facebook.com/profile.php?id=100046525451818 და ვებ გვერდებით: https://skolebi.emis.ge/schools/1403?schoolName ; https://mukhraniprime.edu.ge/

გარდა ამისა, სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის და სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

საკომუნიკაციო საშუალებებით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულებაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საინფორმაციო მენეჯერი), რომელსაც ევალება სკოლის ვებგვერდებზე/სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსებამდე, მოიძიოს, შეამოწმოს ინფორმაციის სანდოობა, უტყუარობა და სკოლის სახელით გავრცელების საჭიროება/აუცილებლობა; ასევე არ შექმნას, არ გაავრცელოს და არ დაუშვას სკოლის სახელით გავრცელდეს, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა ეფექტურად იყენებს ონლაინ გამოკითხვის მეთოდებს თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივების მიზნით; სკოლა მიმართავს ციფრული სახით მიღებული

ინფორმაციის დამუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი ონლაინ კითხვარი და კვლევა, რომლის შედეგებიც აისახა სკოლის განვითარების გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს 2 ვებ-გვერდი, რომლებზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1403?schoolName განთავსებულია შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია. გამოქვეყნებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების ვებ გვერდები: https://skolebi.emis.ge/schools/1403?schoolName ; https://mukhraniprime.edu.ge/
- დაწესებულების გვერდები სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/profile.php?id=61555295126364; https://www.facebook.com/profile.php?id=100046525451818;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2025 წლის ბიუჯეტი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სხვადასხვა ზომებით, რომლებიც სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის გარანტიას წარმოადგენს. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად, სკოლის მიერ შემუშავებული სხვადასხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესაბამისად. დაცულია მოსწავლეთა უფლებები - უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოს აქტიური ფუნქციონირებითა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის გზით. სამეურვეო საბჭოსგან სკოლა იღებს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე და განიხილავს სკოლის წინაშე არსებულ გამოწვევებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. სკოლაში შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტის დაძლევის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მოქმედებს რემედიაციის პრაქტიკა, რომელიც მოიცავ სწავლების სამივე საფეხურს. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა და განათლების უფლების რეალიზაცია. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებებს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს; კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით.

მშობლებს აქვთ შესაძლებლობა კვირის დადგენილ დღეს შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს – დირექციას, ადმინისტრაციას ან კლასის დამრიგებელს – და მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე დეტალური ინფორმაცია.

სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას - მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის პორტალზე.

სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს.

სადამრიგებლო საათის/კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ მიღებული გადაწყვტილების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. ამისათვის, სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის წესი.

სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე აცნობს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს. სკოლის მოსწავლეს უფლება აქვს მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, წამოაყენოს წინადადებები, რაც სკოლის მხრიდან ყოველთვის მხარდაჭერილია.

მოსწავლეთა უფლებებისა და რეგულაციებისა ამსახველი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სკოლის შენობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები და სხვა

მნიშვნელოვანი პირობები. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- გასაჩივრების წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საინფორმაციო დაფა;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მექანიზმი. აღნიშნულ მექანიზმში გათვალისწინებულია მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება-აღდგენის პირობები. საჯარო ინფორმაცია სკოლის თემისთვის განთავსებულია სკოლის პორტალზე, ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურების შესახებ ინფორმაციასა და წარსადგენი დოკუმენტაციების ნუსხას დაინტერესებულ პირებს აწვდის სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.
კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას, სოციალური ქსელის მეშვეობით და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები. მოსწავლეთა ჩარიცხვას არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეები სარგებლობენ მობილობის უფლებით. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ.

სკოლის მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე მობილობის პროცესის განხორციელებისას ან მხოლოდ საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს.

საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები.

დაწესებულებაში მიმდინარეობს მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობა. წარმოდგენილია შემეცნებითი და სახალისო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები; სასკოლო გარემო გაფორმებულია საგაკვეთილო და საკლუბო მუშაობის დროს შექმნილი საინფორმაციო პლაკატებით, პოსტერებით, სამხატვრო ნამუშევრებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას ასევე აწვდის კლასების დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას.

სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებელ დაფაზე.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები;

- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, ყოველწლიურად, ტარდება ღია კარის დღეები. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია შემდეგი პრაქტიკა: მოსწავლის სკოლაში მიღებისას (მობილობით) სკოლის დირექტორი და კლასის დამრიგებელი, თბილ და პოზიტიურ გარემოში ხვდებიან მოსწავლეს და მის მშობელს - მოსწავლის ინტერესების, მიდრეკილებების, საჭიროებების, საყვარელი საგნების შესახებ ინფორმირებისთვის. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის.

სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში, სკოლის დირექცია დეტალურ ინფორმაციას აწვდის მშობელს ინკლუზიური განათლების მუშაობის პრინციპების შესახებ, აცნობს სპეც. მასწავლებელსა და სკოლაში არსებულ რესურს ოთახს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, კერძოდ, დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და აცნობს საგნის მასწავლებლებს. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს.

პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუდმივად ცდილობს გააკონტროლოს სწავლის ხარისხი და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა დამატებითი კონსულტირების გზით. მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ინდივიდუალური შეხვედრების, ტელეფონის, ელექტრონული ჟურნალის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე წვდომა აქვს როგორც მოსწავლეს ისე მშობელს. შესაბამისად, მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გააკონტროლოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია და დაგეგმოს გაუმჯობესების გზა. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დროულ უკუკავშირს, რომელშიც აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე.

გარდა ამისა, მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები და მეცადინეობები, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. იმ მოსწავლეთათვის, რომლებისათვისაც საკონსულტაციო მომსახურებით ვერ ხერხდება საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება, დაწესებულებაში დამკვიდრებულია რემედიაციის პრაქტიკა. რემედიაციის ფარგლებში მიმდინარეობს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლესთან მუშაობა. მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა, თუ მაინც ვერ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული საგნისთვის განსაზღვრული პროგრამა, მოსწავლეს დაენიშნება საშემოდგომო გამოცდა. საშემოდგომო გამოცდისთვის სკოლა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს უნიშნავს საკონსულტაციო შეხვედრებს, დამატებით აძლევს დავალებებს და მითითებებს.

<u>მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება,</u> რომ აკადემიურ შეფასებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებით მშობლები და მოსწავლეები პირველ რიგში დამრიგებელს მიმართავენ, შემდგომ კი მასწავლებელს. საკითხი იშვიათად მიდის დირექციამდე; თუმცა

დირექტორი ყოველთვის ხელმისაწვდომია, და როგორც მოსწავლეები ახასიათებენ - ძალიან კეთილგანწყობილი, ემოციური და თანაგანცდის მქონე ადამიანია. **მოსწავლეები ასევე აღნიშნავენ,** რომ სასკოლო აკადემიური გარემო - გაკვეთილები ინტერაქტიურია, მასწავლებლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი სახალისო იყოს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა თხოვნებს და ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ, შიდა სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესახებ და სხვა. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი ღიაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივების მხარდასაჭერად. ინიციატივების არსებობის შემთხვევაში მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს, ასევე მოსწავლეებს და მშობლებს აქვთ უფლება ინიციატივები დააყენონ დამრიგებლის წინაშეც. სკოლა ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვებს სპეციალურად მათთვის შედგენილი კითხვარების მეშვეობით, რათა განისაზღვროს სკოლის საჭიროებები, გასაუმჯობესებელი მხარეები და მოსწავლეთა ინტერესის სფეროები. მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენასა და განხორციელებაში აქტიურ როლს ასრულებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები მრავალფეროვანი მიმართულებით:

ინგლისური ენის კლუბი „ENGLISH EXPLORERS“, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, კომუნიკაციური უნარებისა და კულტურათაშორისი ცნობიერების განვითარებას.

STEAM კლუბი, რომლის მიზანია ინოვაციური განათლების ხელშეწყობა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, განავითარონ პრაქტიკული უნარები და შექმნან ინოვაციური პროექტები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს.

ი.ს.ტ. კლუბის მუშაობის მთავარი მიზანია ინოვაციური განათლების ხელშეწყობა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, განავითარონ პრაქტიკული უნარები და შექმნან ინოვაციური პროექტები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს, მოსწავლეებში კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის დონის გაღრმავება;

სამოქალაქო განათლების კლუბი „ბური“ - სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი. მათგან გამორჩეულია, სოფელ მუხრანში ტურიზმის განვითარებასა და აღდგენაზე ორიენტირებული პროექტი „აღმოაჩინე შენი სოფელი.“ პროექტის ფარგლებში, სკოლას საჩუქრად გადაეცა ფაზლების დასამზადებელი დანადგარი; შედეგად, დასურათდა და ფაზლების სახით დაიბეჭდა სოფელ მუხრანის ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობები. მომზადდა ბროშურები და სახალისო დავალებები.

დაწესებულებაში მოქმედებს „შაბათის სკოლა“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით; ასევე ფუნქციონირებს წრეები მოსწავლეებში მრავალფეროვანი უნარების განვითარების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც გეგმავს გასატარებელი ღონისძიებებს მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირი სკოლას ეხმარება მომავალში მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული დამატებითი წრეებისა და კლუბების ჩამოყალიბებაში.

მშობლებთან გასაუბრების დროს, ერთ-ერთ მაგალითად დასახელდა სკოლის ფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ჩატარდა საყოველთაო გამოკითხვა და მშობლებს ჰქონდათ უკუკავშირის გამოხატვისა და ჩართულობის საშუალება. შედეგად, შეიქმნა და დამზადდა სასკოლო ფორმების თანამედროვე მოდელები გოგონებისა და ბიჭებისათვის, და მაღალია სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება უნიფორმების შემოღებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- განხორციელებული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კითხვარები და შედეგების ანალიზი);
- განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირების საშუალებით. სკოლაში ეწყობა შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, სადაც ისინი მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას თავიანთი უნივერსიტეტებისა და პროგრამების შესახებ. ასევე, სკოლის ორგანიზებით ხორციელდება ვიზიტები კოლეჯებსა და დაწესებულებებში, რათა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები უკეთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს და გაუადვილდეთ არჩევანის გაკეთება. გაფორმებულია მემორანდუმები პროფესიულ კოლეჯთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის განხორციელებას 2025-2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, (პროგრამა მოქმედი იყო გასულ სასწავლო წელსაც); სკოლა ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) თანამშრომლობით პროგრამაში „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პროფესიული განათლების სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მშენებლობა-მოწყობა. აღნიშნული გაზრდის საბაზო საფეხურის მოსწავლეთა კარიერული განვითარების შესაძლებლობას ადგილზე. პროფესიული განთლების მიმართულებით მშობელთა ინფორმირებისთვის 2025 წლის გაზაფხულზე სკოლის სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა პროფესიული უნარების სააგენტოსა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მშობლებმა და მოსწავლეებმა კომპეტენტური პირებისაგან მიიღეს ყველა საჭირო ინფორმაცია. ამ შეხვედრაზე დაკანონდა ,,ახალგაზრდული ცენტრების '' შექმნა და მასში გაწევრიანდა 22 მოსწავლე. შეხვედრის შემდეგ ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე ,,პროექტების მართვა''.

გარდა ამისა, **ავტორიზაციის ვიზიტის დროს დადგინდა,** რომ სკოლაში ხშირად იწვევენ წარმატებულ სკოლადამთავრებულებს, რომლებიც მოსწავლეებს უზიარებენ თავისი გამოცდილების გზას, პროფესიულ მიღწევებს, აძლევენ რჩევებს სკოლის შემდგომი განათლებისა და კარიერული წინსვლის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების მიერ დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ, რათა მოსწავლეებმა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სიახლეებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში.

მაგალითად, პროფესიული განთლების მიმართულებით მშობელთა ინფორმირებისთვის 2025 წლის გაზაფხულზე სკოლის სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა პროფესიული უნარების სააგენტოსა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მშობლებმა და მოსწავლეებმა კომპეტენტური პირებისაგან მიიღეს ყველა საჭირო ინფორმაცია. ამ შეხვედრაზე დაანონსდა ,,ახალგაზრდული ცენტრების“ შექმნა და მასში გაწევრიანდა 22 მოსწავლე. შეხვედრის შემდეგ ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე ,,პროექტების მართვა”. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის დირექციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ განხორციელდება 2025-2026 წლის მომსახურების შედეგების ანალიზი. ყველაფრის გათვალისწინებით დაიგეგმება მომდევნო წლის აქტივობები მოსწავლეთა კარიერული განვითარების დახმარების თვალსაზრისით.

სკოლა გეგმავს კურსდამთავრებულების და მათი მშობლების გამოკითხვას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში გაწეული მომსახურების შეფასების შესახებ. მიღებულ უკუკავშირს გაითვალისწინებს შემდგომი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლაში განხორციელებული პროგრამა „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის“ ანგარიში.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლას ჰყავს 2 სპეციალური (სტატუსით უფროსი) მასწავლებელი და 3 სსსმ პირის ასისტენტი. სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის; შემუშავებულია რესურს ოთახებით სარგებლობის განრიგი. ორივე კორპუსის რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით, რომელთა შეძენა და დამზადება ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი რესურსები, გარდა სპეც. მასწავლებლისა, საგნის მასწავლებლებსაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებაში. სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა. სკოლაში დანერგილია სადიაგნოსტიკო წერების პრაქტიკა - შეფასების ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს აღმოჩენილი მოსწავლეთა რისკ ჯგუფები, რომელთაც სწავლაში გარკვეული სირთულეები აქვთ და შესაბამისად დროულად ხდება ინტერვენციების დაგეგმვა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. სკოლაში სხვადსხვა სახის ჩატარებული პროექტები, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოსტერები და ნახატები ხელს უწყობს მოზარდებში ტოლერანტული განწყობის ზრდას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე თანატოლების მიმართ. სკოლას გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობა, ღონისძიება და პროექტი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები;
- წლიური ანგარიშები;
- ისგ და მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლა ჩართულია ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამაში და სთავაზობს მოსწავლეებს ტრანსპორტით მომსახურებას შესაბამისი რეგულაციების დაცვით. <u>სკოლის წარმომადგენლები და მშობლები აღნიშნავენ კმაყოფილებას აღნიშნული სერვისით.</u>

სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელიც გაცემულია ფართი იჯარით და მეიჯარესთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და სკოლა ახორციელებს იმ მოთხოვნებს, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების" დოკუმენტშია ასახული. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ განხორციელებული კლუბები და კლასგარეშე საქმიანობა, ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ყველა ეს მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლის მიერ განხორციელებული კლუბები და კლასგარეშე საქმიანობა ხორციელდება სკოლაში უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. თითოეულ კლუბს შემუშავებული აქვს დებულება. კლუბებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური პედაგოგები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- იჯარის ხელშეკრულებები;
- კლუბების დებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მახოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში ხაზგასმულია პროცესში ჩართულ მხარეების მნიშვნელობა, ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხორციელდება. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც ვეცნობით ამავე საკითხის შესახებ, მკაფიოდაა გამოკვეთილი ურთიერთნამაშრომლობის მნიშვნელობა, კათედრებისა და მასწავლებლების როლი, როგორც კურიკულუმზე მუშაობის პროცესში, ისე მშობლებთან თუ მოსწავლეებთან კომუნიკაციის საკითხებში, ეს ფაქტორები შესაძლებელს ხდის კურიკულუმში გათვალისწინონ მათი ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ზემოთ აღწერილ პროცესზე მიუთითებს მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები, ისინი საუბრობენ გამოკითხვებზე, სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის კითხვარის ფორმებზე, ბავშვები ასახელებენ კონკრეტულ მაგალითებს, იდეებს, რომლებიც წახალისებული იყო სასკოლო საზოგადოების მხრიდან და აისახა კიდევაც სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმს, სადაც სრულყოფილადაა ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. შესაბამისობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მაგ: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, საგნობრივი კურიკულუმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, პროექტების ამსახველი მასალებითა და კათედრების პორტფოლიოებით.

აღსანიშნია, რომ თითოეულ დოკუმენტში აღწერილი აქტივობები მიემართება სკოლის ფილოსოფიას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტში მკაფიოდაა გაცხადებული სკოლის პრიორიტეტი, რაც ინკლუზიური გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს მრავალმხრივ თანამშრომლობას - მშობლებს, საგნის მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებს შორის - რაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისა თუ აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფს ერთიანი ინკლუზიური სივრცის ფორმირებას. სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაზე, რისთვისაც მათ სთავაზობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კურიკულუმებს, მრავალფეროვან რესურსებსა და პროექტებს. სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას განაპირობებს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და სირთულეების შესახებ, ითვალისწინებენ მათ უკუკავშირსაც. აღნიშნულ პროცესს ადასტურებს წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები: სასკოლო საზოგადოებასთან განხორციელებული გამოკითხვები (შევსებული კითხვარები) და მშობლებთან თუ მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლის მარეგულიერებელ დოკუმენტში - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა თითოეული მასწავლებელი, დირექცია, მშობელი და მოსწავლე. ასევე სამივე საფეხურის კათედრების პორტფოლიოებში ვეცნობით, რომ მასწავლებლები იკრიბებიან კათედრის შეხვედრებზე, განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, შედეგებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ითვალისწინებენ ერთმანეთის, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დირექცია/ადმინისტრაცია, კათედრები მათთან შეთანხმებით აორგანიზებენ, ქმნიან კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და გეგმავენ სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებს. (მაგ: თვითმმართველობის ინიციატივები, სასკოლო პროექტი, სხვადასხვა შეჯიბრი, კლუბური აქტივობა.). თითოეულ საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით კათედრის სხდომის ოქმებს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ კურიკულუმები განიხილება კათედრულ შეხვედრებზე. იგივე დასტურდება მშობლებთან კრების ოქმებშიც, სადაც მშობლებს აცნობენ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტარეტეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების ოქმები გვაცნობს, რომ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ერთობლივად გეგმავენ იმ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას, რაც თავისთავად წარმოადგენს სასწავლო პროცესის, კურიკულუმის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლის სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია რამდენიმე გზით ზიარდება. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების საერთო შეხვედრები, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, მშობელთა კრებები, საჭირო დოკუმენტების საიფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელის გამოყენება, კლასების ე.წ. „ჩათებსა“ და „მესენჯერ“ ჯგუფებში კომუნიკაცია. მასწავლებელთა ნაწილის განცხადებით, საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარება მშობლებისთვის ხდება, როგორც პირადი კომუნიკაციის ისე მშობელთა კრებების ფორმატით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი (https://mukhraniprime.edu.ge/) , სადაც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, სასკოლო სასწავლო გეგმა, სამივე საფეხურის კურიკულუმი და სხვა დოკუმენტები. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ვებგ-ვერდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდი.

ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის რევიზიის ფორმა. ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კათედრის სხდომის ოქმი N 1
- კითხვარი მშობლებისათვის;
- კითხვარი მასწავლებლებისათვის;
- კითხვარი მოსწავლეებისთვის;

2.1.2.1 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან:

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე, რომლებიც შემუშავებული და დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინდიკატორს აკმაყოფილებს, წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია, სავალდებულო თემებთან გაიწეროს საათების რაოდენობა, საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმდებითი დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. გაწერილია სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები, შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები, ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი

	დავალებებიდან ზოგიერთ კურიკულუმში შეტანილია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, თუმცა სკოლას განხორციელებული აქვს სხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებიც. **რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში** კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდატებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. მოსწავლე თავად ირჩევს დავალების შესრულების გზას ან ფორმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმებში გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გაწერილია თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი *ძირითადად* მიემართება როგორც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (კვლევა) ფორმირებაზე. **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების შიგნით უფრო მკაფიოდ *გამოჩნდეს ბმა* საკითხს/საკითხთა კლასტერს და რესურსებს შორის, ასევე, საკითხს, შემოქმედებით დავალებას/დავალების იდეასა და რესურსებს შორის. **რჩევა:** სასურველია პროდუქტის, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მკაფიოდ მითითება. შემოქმედებითი დავალების/დავალების პირობის დაგეგმვისას, როგორც წესი, მითითებულია პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა. თუმცა, რიგ შემთხვევებში პროდუქტი მითითებული არ არის. მაგალითისათვის, ფიზიკის, მე-7 კლასის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალების ასეთი ფორმულირება: "ჭკვიანი კამერები - რატომ უნდა დავიცვათ სიჩქარის ლიმიტი (დავალების მიხედვით საშუალო სიჩქარის გამოთვლა)". მოსწავლის მიერ რა პროდუქტია შესაქმნელი - დაზუსტებულ ფორმულირებას მოითხოვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში და პედაგოგებთან განხორციელებული გასაუბრრებისას, მათ დაადასტურეს რომ კურიკულუმები შემუშავებულია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილია განსახორციელებელი შემოქმედებითი პროდუქტები, რესურსები, წყაროები. **რჩევა:** XI კლ. ისტორიის კურიკულუმში ორივე თემაში უნდა იყოს ყველა სამიზნე ცნება დამუშავებული და მოსწავლეების მიერ შესწავლილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	თემებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ემსახურება საკითხების სიღრმისეულად გაანალიზებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი**, **საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმები, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპელქსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დანართების სახით სრულყოფილად აისახოს შემოქმედებითი დავალებების პირობა და კრიტერიუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, კურიკულუმში ასახული თემების შესწავლისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, სკოლა ახორციელებს სხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტის მომცემ დავალებებს, მაგალითად, პროექტებს, პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის

	შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. ეს ყველაფერი მთლიანობაში ხელს უწყობს ესგ–თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, თუმცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლოგიკური ბმა გრძელვადიან მიზანს, შერჩეულ შუალედურ მიზნებს და მიღწევის საშუალებებს შორის დარღვეულია კავშირი. მასწავლებლებს მიეცათ **რჩევა** გამოსწორების. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმებში (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში) გადაიხედოს და დაზუსტდეს შემოქმედებითი პროდუქტის მიმართება სამიზნე ცნებასთან და ქვესაკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმებში გაწერილია ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. როგორც წესი, ეს რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს (უმეტეს შემთხვევაში შესაბამისი გვერდების მითითებით), მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს - ტელესკოლის გაკვეთილები, Ck-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, ლინკების (წვდომის) ჩვენებით;

	რჩევა: სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით; **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია (კლასების მიხედვით) - წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები (რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა), დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს რეალური ცდების პრაქტიკის არსებობა საგაკვეთილო პროცესში. კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო მეტად გაამახვილებენ ყურადღებას რესურსების შერჩევა-შექმნას, მათ შინაარსობრივ კავშირს შესასწავლ თემასთან მიმართებით. სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, და უმჯობესია კურიკულუმებში მათი სრულყოფილად ასახვა. **რჩევა:** საშუალო საფეხურზე IX კლ. მოქალაქეობა და საშუალო საფეხურზე XII კლ. ისტორიის კურიკულუმებში დეტალურად უნდა მიეთითოს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა (ავტორები, გამომცემლობა, გვერდები და ა.შ.), რესურსები. აღნიშნული რჩევა ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასურველია, რომ სკოლამ გააფართოოს ციფრული რესურსების გამოყენების სპექტრი და უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი ტექნოლოგიური საშუალებების ინტეგრირება.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	ესთეთიკური აღზრდის კათედრაზე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალით. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა, ყველა რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, არაა შეტანილი კურიკულუმში. **მიეცათ რჩევა, დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ მთელი თემის დამუშავებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სამივე საფეხურზე სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების;

	ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ყველა კლასის კურიკულუმში გაწერილია საჭირო საგანმანათლებლო და დამატებითი რესურსი. ასევე, გათვლილია ისეთი დავალებები, რომლის შესრულების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/გადაწყვეტის მოძებნა, რაც ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე რამდენიმეგან მითითებულია ბმულები. თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრების პროცესში მიეცათ **რჩევა** კურიკულუმში გამოყენებული რესურსების შეტანის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმები ითვალისწინებს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებას თემების შესაბამისად; ასეთი შემოქმედებითი დავალებების განხორციელება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით; მოწოდებულ მასალაში წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო საგნებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან და დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები ახორციელებენ მრავალ აქტივობას სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, წარმოდგენილი აქვთ დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები. წარმოდგენილ ინდ გეგმებში ჩანს რომ უცხო ენის პედაგოგებს აქვთ მზაობა სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს მოარგონ წარმოდგენილი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რითაც გამოხატავს მზაობას ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის და სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სხვა საგნებთან ერთად გაწერილი არის აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება ადაპტირებული რესურსები და დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა, რომ სასწავლო პროცრსი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს; წინა გამოცდილებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე ადაპტირებული დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ ისინი თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, განსხვავებული სწავლის სტილი. ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს სხვადასხვა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგალითად, აძლევს მათ არჩევანის საშუალებას დავალების შესასრულებლად, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს. წარმოდგენილია ისგ, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სკოლაში დანერგილი ინკლუზიური სწავლება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა ისაუბრეს დანერგვის გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები საგნების მიხედვით. **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც ცხადყოფს რომ მოსწავლეთა შეფასება წარმოებს საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. **რჩევა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უფრო კონკრეტულად უნდა იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში დასამუშავებელ სამიზნე ცნებებთან კავშირში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით არის შედგენილი და მათ საფუძველზე შესაძლებელია შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ცხადყოფს რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს , მიზნებსა და ამოცანებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით (წარმოდგენილია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების რუბრიკების ნიმუშები სამივე საფეხურისთვის). შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების

	კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს მიზნის მიღწევა. თუმცა რუბრიკებს (ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება) სჭირდება დაკონკრეტება ერთ საკითხზე. გასაუბრებაზე გაიცა შესაბამისი რჩევა. **რჩევა:** განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები დაიხვეწოს ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მოერგოს კონკრეტული საკითხსა და დავალებას. შეფასდეს ამ დავალებაში წარმოდგენილი მოთხოვნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის;
- შეფასების რუბრიკები საგნების - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - მიხედვით (განმავითარებელი, განმსაზღვრელი)
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები (№1, №2), 2025-2026 სასწ. წელი
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N- 6 სხდომაზე;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

სახელმწიფო ენა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (ზოგადი)
- შეფასების რუბრიკები შემოქმედებითი დავალებებისთვის
- უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები
- დიფერენცირებული დავალების ნიმუში
- ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუში

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სამოვე საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმების განივითარების მეთოდოლოგია;

მათემატიკა:

- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალებები;
- შემაჯამებლების ნიმუშები;
- კათედრის ოქმი;
- ისგ;

სპეც.მასწავლებლის ანგარიში.

- ესთეტიკური არღზრდის კათედრა:
- *დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასწავლო და ელექტრონული რესრუსების ამსახველი ფოტომასალა;*
- *სსსმ მოსწავლის ინდგეგმა;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.1 სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; სამივე საფეხურის საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) - კურიკულუმში ასახულია მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობები (გარდა I კლასის კურიკულუმისა); კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნის (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს მოსწავლეების შემოქმედებით დავალებაზე /შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობას, მშობლების ჩართულობას - სამუშაოს გაცნობას ბარათების გადაგზავნით; სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან განსხვავებულ შემოქმედებით პროდუქტებს - PP პრეზენტაციებს, მოხსენებებს, მოდელებს, პოსტერებს, ნახატების ალბომებს, და ა.შ., ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასება რუბრიკებით და შეფასების ანალიზი; არსებობს კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება, ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები - "წყალი - ყოველდღიური და უცნაური", ,,პლასტმასი, მავნე თუ სასარგებლო"; ფუნქციონირებს: ნორჩ ქიმიკოსთა კლუბი ,,მერვე"; შაბათის სკოლა (ბიოლოგიის, ფიზიკის), STEAM კლუბი, რომელთა

	ფარგლებში ხდება შესაბამისი საგნებით მოსწავლეთა დაინტერესება, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება. **რჩევა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას და განხორციელდეს ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები, აქცენტით **საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ცოდნაზე**; თუ წრეები და კლუბები უფრო დაინტერესებულ მოსწავლეებზე არის ორიენტირებული, ექსკურსიები უზრუნველყოფს კლასის თითქმის ყველა მოსწავლის ჩართვას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კათედრის წლიური გეგმა ითვალისწინებდეს ექსკურსიებს საბუნებისმეტყველო საგნებში (ცალკე საგანში ან ინტეგრირებული). **რჩევა:** სასურველია, საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების ფორმირების მიზნით; სახალისო ცდებთან ერთად დაიგეგმოს სასწავლო კვლევითი პროექტები (მაგალითისათვის, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წყლების ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევა, ნიადაგის თვისებების კვლევა და სხვ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად მიმდინარეობს სწავლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი

	პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. *ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა ერთობლივი გადაწყვეტილებით , ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებულია თემების, სამიზნე ცნებების დამუშავება. თემები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს, თემების შესაბამისად შესრულებულია შემაჯამებელი სამუშაოები, შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც შემუშავებული აქვთ. მოსწავლეთა შესრულებული დავალებები მოწმობს რომ ახორციელებენ დაგეგმილ შემოქმედებით

	დავალებებს. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N 1 საჯარო სკოლას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტი. ზოგადად, სასწავლო პროცესი წარმოადგენს ცოცხალ პროცესს, რომელიც საჭიროებს მოქნილობას. სკოლის დირექცია მუდმივად მზად არის მხარი დაუჭიროს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის, იქნება ეს რესურსებით ხელშეწყობა, ტრენინგების დაგეგმვა, ღონისძიებების ორგანიზება თუ სხვა, იმის მიხედვით, თუ რა საჭიროება სკოლას მოცემულ მომენტში. გარდა ამისა, მასწავლებლები მოქნილად იყენებენ საგნობრივ კურიკულუმებს და შეაქვთ მასში ცვლილებები. აღნიშნული საკითხი, დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი, მოსწავლის ადაპტაციის წესი, ინტერვენციის გეგმები, ხარისხის უზრუნველყოფა ბრძ. N 61-1; 05.09.2025 და სხვ, ინდივიდუალური საჭიროების გეგმები), ისე სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად. ინტერვიუს დროს, მშობლებმაც და მოსწავლეებმაც გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი/მოსწავლე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და იმისთვის, რომ კლასს/მოსწავლეს ხელი არ შეშლოდა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში, ადმინისტრაცია და მასწავლებლები მოქნილად რეაგირებდნენ კონკრეტული კლასის/მოსწავლის საჭირობებეზე.

ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნების მიხედვით (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, მოსწავლეთა ნამუშევრები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით; მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას.

	რჩევა: სასურველია, უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით *სამიზნე ცნებებთან მიმართებაში*; შერჩეულ იქნას *სამიზნე ცნების* განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**რჩევა:** პედაგოგებმა მოსწავლეებს სისტემატიურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულების წინ, რადგან ეს მათ დაეხმარებათ წინასწარ იცოდნენ თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება და როგორ უნდა შეასრულონ დავალება, რომ მაღალი შეფასება დაიმსახურონ. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	როგორც წარმოდგენილი მასალით ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები ერთობლივად შემუშავებულია კათედრებზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რაც მათ ვალიდურობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ერთობლივად კათედრაზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვლალისწინებულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს , რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდურობას და სანდოობას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შეფასების რუბრიკებში მითითებულია სამიზნე ცნებები. შემაჯამებლის ნიმუშებს ახლავს დეტალურად გაწერილი შეფასების რუბრიკა, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს ახლავს შეფასება, რომელიც გაკეთებულია რუბრიკის მიხედვით, არის როგორც განმავითარებელი უკუკავშირი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასახავს მოსწავლის განვითარების დინამიკას. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის უნარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები დონეების მიხედვით, რაც ცხადყოფს იმას, რომ კათედრა ყურადღებას აქცევს შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, თანმიმდევრულობასა და ობიექტურობას. ვერიფიკაცია ხორციელდება შიდა მონიტორინგის, განხილვების, ადმინისტრაციისა და კათედრების ჩართულობით, შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა და უკუკავშირის (შემაჯამებლების ანალიზები, ურთიერთდასწრების ფორმები, დიაგნოსტიკური წერები, თვითრეფლექსიები) საფუძველზე. ვიზიტის პერიოდში ექპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შესაძლო სუბიექტურობის შემცირებას, შეფასების ერთიანი სტანდარტების დაცვას და პროცესის მუდმივად გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის, დოკუმენტაციისა და მტკიცებულების სისტემურ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების მასალები ინახება, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით. დაცულია პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და ხელმისაწვდომობა მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, კონტროლირებადობას და საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი **2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით

ხარისხის უზრუნველყოფა ბრძ. N 61-1; 05.09.2025

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);
- საგნებში - ბუნებისმეტყველება (ბუნება, II კლასი), ბიოლოგია (VII - XII კლასები), ფიზიკა (IX, XI,XII კლასები), ქიმია (VIII, X. XI კლასები) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის;
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- შემაჯამებელი დავალებები - ტესტები, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები;
- STEAM კლუბის, ქიმიის კლუბის "მერვე" სამოქმედო გეგმები;
- ქიმიასა და ბიოლოგიაში ლაბორატორიული სამუშაოების ბარათები;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები (№1, №2), 2025-2026 სასწ. წელი (კათედრის სამოქმედო გეგმები; კათედრის ანგარიში);
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწვლო გეგმა, დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N- 6 სხდომაზე;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრების ურთიერთდასწრების ფორმები (შევსებული)
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - ვერიფიკაციის მექანიზმი
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის - კაბინეტები და საპრეპარატოროები; ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი; ორგანოთა მულაჟები, ხელსაწყოები ფიზიკაში - ფოტომასალა

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

სახელმწიფო ენა:

- ქართული ენა დალიტერატურა-დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშბი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ვერიფიკაცია;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

მათემატიკა:

- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალებები;
- შემაჯამებლების ნიმუშები;
- ისგ.

ესთეტიკური კათედრა:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე რესურსებით. რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოებს (ბუნება, V-VI კლასები; ბიოლოგია, XII კლასი); დამხმარე რესურსების სახით - მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის გაკვეთილებს, Ck-12 საგანმანათლებლო პლატფორმას, ვირტუალურ ლაბორატორიებს, სხვა ინტერნეტ-რესურსებს. მატერიალური და ელექტრონული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელმისაწვოდმია კომპიუტერები/ლეპტოპები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს მსველელობისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ატარებენ რეალურ ცდებს/ექსპერიმენტებს, რაც ნაწილობრივ ასახულია კურიკულუმებშიც (ბენებისმეტყველება, VI კლ.;ქიმია, VIII კლ.; ბიოლოგია, VII კლ.) და რასაც ხელს არსებული ინფრასტრუქტურაც უწყობს - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის გაკვეთილები ტარდება შესაბამის კაბინეტებში. ცდების/ექსპერიმენტების ჩატარებისთვის საჭირო რეაქტივები, პრეპარატები, ხელსაწყო-მოწყობილობები ინახება კაბინეტებთან არსებულ საპრეპარატოროებში. კათედრა და სკოლა ზრუნავს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისთვის რესურსების შევსება-შეძენაზე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი №1). **რჩევა**: სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); რჩევა: სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილებზე და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; **რჩევა**: სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კარტოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა); აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს რეალური ექსპერიმენტების ბარათების შექმნის კარგი პრაქტიკა ქიმიაში (ექსპერიმენტები ელექტროლიტებისა და არაელექტროლიტების გამოსაცნობად) და ბიოლოგიაში (უჯრედის მემბრანის შესწავლა შერჩევითი განვლადობის მოდელირების საშუალებით); საჭიროა ამ პრაქტიკას მიეცეს სისტემური ხასიათი, ჩენი აზრით ეს შესაძლებელია განხორციელდეს ცდების/ექსპერიმენტების კართოთეკის შექმნით; სასურველია აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს სამივე საგნისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია)

	რჩევა: სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (გვ.34) სკოლის საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს პლაკატებს. სასურველია, მომზადდეს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) შესაბამისი კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატების) კატალოგი, ასევე, საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სახით აისახოს განსახილველი საკითხის შესაბამისი თვალსაჩინოება - პლაკატი (დასახელების მითითებით). ჩვენი აზრით, კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს პლაკატების სისტემურ და სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. რჩევა: სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. “დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია”, აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში სკოლას საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივი რესურსები აქვს წარმოდგენილი. წარმოდგენილ კურიკულუმებში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო მეტად გაამახვილებენ ყურადღებას რესურსების შერჩევა-შექმნას, მათ შინაარსობრივ კავშირს შესასწავლ თემასთან მიმართებით. სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, და უმჯობესია კურიკულუმებში მათი სრულყოფილად ასახვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ბეჭდურ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა

	პრეზენტაციების წარსადგენად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადსხვა თვალსაჩინოებას, პლაკატებს, პრეზენტაციებს და სხვა. *ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო რესურსების ნაწილი შეტანილია კურიკულუმში, ასევე წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა. სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის თემატიკას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. **რჩევა: დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: school.emis.ge; code.org, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ვიდეორგოლები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად გვხვდება ციფრული რესურსები და ნაკლებად მაორგანიზებელი სქემები. **რჩევა**: კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითად რესურსთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსებით, რაც ფიქსირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა (ოქმი №1) ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვას და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება საზოგადოებრივ კათედრაზე შეთანხმების და რეკომენდაციის საფუძველზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, რაც ადასტურებს რესურსების მიზნობრივ და პასუხისმგებლიან შერჩევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა კათედრის წევრებს ერთობლივი ჩართულობით. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა კათედრაზე ხორციელდება, შერჩევისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, მოსწავლის ასაკობრივი და განვითარების დონე. რასურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით საგნის პროგრამას, ეფექტურია და ეხმარება სწავლების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მასწავლებელიც გვიდასტურებს, რომ კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსის შერჩევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო და საგნობრივი დოკუმენტაციიდან, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ კოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სასკოლო ინვენტარი, ბიბლიოთეკა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მათთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პრეზენტაციები, ინსტრუმენტები, კაბინეტი, პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებლები და სხვა. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, დამატებითი სასწავლო რესურსები) და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, ზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კომპიუტერულ ლაბორატორიაში. (კომპიუტერები, პროექტორი ინტერნეტი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის სისტემა, რაც უზრუნველყოფს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას. წამყვანი მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული, როგორც ახალბედა მასწავლებლების მხარდაჭერაში, ასევე კოლეგების კონსულტირებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის საჭირო ადამიანურ რესურსს (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები), რაც ხელს უწყობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ადმინისტრაცია სისტემატურად ზრუნავს პერსონალის შერჩევაზე, მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობას, ხარისხსა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , ასევე, მართვის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე, ზოგიერთ კლასებში, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას ასწავლიან დასყებითი კლასების პედაგოგები, რომელთაც არ აქვთ მითითებულ საგნებში

დადასტურებული კომპეტენცია. ეს ფაქტი დაფიქსირებისთანავე აღმოიფხვრა სკოლის მხრიდან და გამოცხადდა კონკურსი ვაკანტურ თანამდებობებზე შესაბამისად **<u>ინდიკატორი</u> 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- პედაგოგთა სია კვალიფიკაციის მიხედვით
- ვაკანსიის გამოცხადების ოქმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ*ი:*

- ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);
- საგნებში - ბუნებისმეტყველება (ბუნება, II კლასი), ბიოლოგია (VII - XII კლასები), ფიზიკა (IX, XI,XII კლასები), ქიმია (VIII, X. XI კლასები) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის;
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- შემაჯამებელი დავალებები - ტესტები, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები;
- STEAM კლუბის, ქიმიის კლუბის "მერვე" სამოქმედო გეგმები;
- ქიმიასა და ბიოლოგიაში ლაბორატორიული სამუშაოების ბარათები;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები (№1, №2), 2025-2026 სასწ. წელი (კათედრის სამოქმედო გეგმები; კათედრის ანგარიში);
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწვლო გეგმა, დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N- 6 სხდომაზე;
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრების ურთიერთდასწრების ფორმები (შევსებული)
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის - კაბინეტები და საპრეპარატოროები; ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი; ორგანოთა მულაჟები, ხელსაწყოები ფიზიკაში - ფოტომასალა

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათერის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

სახელმწიფო ენა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმი

მათემატიკა:

- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შემოქმედებითი დავალებები;
- ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა;

ესთეტიკური აღზრდის კათედრა:

- მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტომასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ასევე, თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სამივე საფეხურის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოადგენს სისტემურ, დაგეგმილ და უწყვეტ პროცესს. მონიტორინგი მოიცავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, სასწავლო დოკუმენტაციის ანალიზს, შეფასების ინსტრუმენტების გადახედვას, მოსწავლეთა მიღწევების და პროგრესის შესწავლას. პროცესში ჩართულია ადმინისტრაცია, ყველა მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს მონიტორინგის ობიექტურობასა და ხარისხს.

ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში შეფასება ხორციელდება ბევრი ფაქტორის გათვალისწინებითა და სხვადასხვა მექანიზმით, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ვერიფიკაციის მექანიზმი , კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების რუბრიკები).

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. აღნიშნული დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით , სადაც ჩანს ხარისხის უზრურნველყოფის ციკლი, საუბარია კურიკულუმებზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ხარისხზე, იმაზე რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება იმას, რომ შემოწმდეს თუ რამდენად სწორადაა შერჩეული სწავლების მეთოდები, რესურსები, შეფასების რუბრიკები, რამდენად შესაბამისობაშია დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმები ერთმანეთთან.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარში შეკითხვათა ნაწილი ეხმიანება მასწავლებლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის პროფესიული განვითარება, პროფესიული განვითარებების გზები და სხვა. მასწავლებლები შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზისა და სხვადასხვა სახის დაკვირვების საფუძველზე ახდენენ მოსწავლთა მიღწევის დიაგნოსტირებასა და მისი საჭიროებიდან გამომდინარე შეაქვთ ცვლილებები სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით და ვერიფიკაციის მექანიზმი.). გარდა ამისა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრის შეხვედრები და იმის განხილვა თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გაუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის პორტოლიოები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, საგანმანათლებლო ტრენინგებითა და გადამზადების კურსებით.

ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის რევიზიის ფორმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და წინსვლის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ, მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას გულისხმობს. პროცესის ობიექტური ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის კითხვარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს არსებული გამოწვევები და დაისახოს განვითარების გზები. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომპონენტების საშუალებით, პარალელურად კი მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესწავლა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით.

სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და ქმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით გამოიყენება წერითი ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, დიაგნოსტიკური ტესტები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. მასწავლებლები სისტემატურად აგროვებენ ინფორმაციას არა მხოლოდ აკადემიური შედეგების, არამედ მოსწავლეთა ჩართულობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი აქტივობის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო-საშუალო საფეხურს, სადაც შეფასება სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოიცავს აქტივობების ფართო არეალს - საკლასო და პრაქტიკული სამუშაოებიდან დაწყებული, შემოქმედებითი ბუნების დავალებებითა და დისკუსიებით დასრულებული. ეს ერთიანი და მრავალკომპონენტიანი მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლაზე ორიენტირებულ გარემოს.

ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული შემაჯამებელი, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა, ურთიერთდასწრება და ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალმხრივ ანალიზს. ამავე მიზანს ემსახურება სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების - ესეს, პრეზენტაციისა თუ პროექტის - შესაბამისი შეფასების რუბრიკების გამოყენება.

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება კომპლექსურია და ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, ოჯახური გარემო, კულტურული

კონტექსტი და უშუალოდ სასწავლო გარემო. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლის აკადემიური შედეგები მჭიდრო კავშირშია მის ზოგად კეთილდღეობასთან, მოტივაციასა და თვითშეფასებასთან. შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ერთგანზომილებიანი; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნუსხვით და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების სანდოობა და ობიექტურობა კი მიიღწევა მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების სინთეზით. შეფასების ინსტრუმენტების არსენალი მოიცავს დაკვირვებას, ზეპირ და წერით გამოკითხვას, ტესტირებას, პროექტულ და კვლევით დავალებებს, ასევე პორტფოლიოს წარმოებასა და მასწავლებლის სისტემატურ ჩანაწერებს. პროცესში აქტიურად გამოიყენება დაკვირვების ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური სქემები , რაც მოსწავლის ცოდნის გააზრების დონის სიღრმისეულად განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტებს, რაც მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობასა და კრიტიკულ აზროვნებასა და მეტაკოგნიტურ უნარებს ავითარებს. აკადემიური მიღწევების ანალიზისთვის სკოლა იყენებს ისეთ ფორმებს, როგორიცაა ანკეტირება, ანალიტიკური ესე და რეფერატი, ხოლო მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიმართულებით უპირატესობა ენიჭება თვითშეფასებას, თვითრეფლექსიას, ანკეტირებასა და უშუალო დაკვირვებას. თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, მონაცემთა შესაგროვებლად საჭიროებისამებრ გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები და ონლაინ პლატფორმები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ და ზუსტ დამუშავებას. (ისტის კაბინეტში ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები, მოსწავლეთა გამოკითხვა და ასე შ.) აღნიშნული მრავალფეროვანი მეთოდოლოგია ქმნის მყარ საფუძველს სწავლის პროცესის ობიექტური სურათის დასახატად.

ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას, რაც გულისხმობს პიროვნული განვითარებისა და სწავლის პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერას. შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი: საგნობრივი შინაარსის ათვისების დონე, აზროვნებისა და დასაბუთების უნარები, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ჩვევები, ასევე მოსწავლის მოტივაცია, ჩართულობა და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და შესაბამისი უკუკავშირით, ორიენტირებულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური შედეგის ფიქსაციაზე, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. ამ მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, ჰოლისტური შეფასების რუბრიკებსა და ურთიერთ-თვითშეფასების მექანიზმებს.

საგნობრივი სპეციფიკის მიხედვით შემუშავებული რუბრიკები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, ანალიტიკური წერისა თუ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ მსჯელობის უნარს, პრობლემის გააზრებას, ენობრივი სტრუქტურებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებას, აგრეთვე დროის მართვას როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობისას. სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სრულ თანხვედრაშია ესგ-სა და ზგემ-ის მიზნებთან.

ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- კათედრის აგარიშები
- კათედრების პორტფოლიოები
- შეფასების ინსტრუმენტები
- კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის წესი
- სასკოლოს სასწავლო გეგმა
- თვითშეფასების კითხვარი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის სასწავლო პროცესებისა და დანერგვის პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი. ეს პროცესი მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგებისა და სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტიანობის შეფასებას. მასწავლებელთა მიერ განხორციელებული სისტემატური მონიტორინგი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც შემდგომში გადამუშავებული და გაუმჯობესებული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი ხდება.

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელთა შორის პროფესიული გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარებას. კათედრების სხდომებზე რეგულარულად განიხილება საუკეთესო პრაქტიკა, მიმდინარე გამოწვევები და ურთიერთდასწრების შედეგები. ამავდროულად, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ შეჯამების ეტაპზე აქტიურად ხდება მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

აღნიშნული კომპლექსური მუშაობის შედეგად, სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი სარეკომენდაციო ხასიათის პაკეტი, რომელიც ასახავს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტებს. რეკომენდაციების ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში ეფექტური ინტეგრირების მიზნით, დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ფორმით და გადაეგზავნება სკოლის ყველა პედაგოგს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და სწავლების ხარისხის ერთიან სტანდარტს.

ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავება და სრულყოფა განიხილება, როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი, რომელიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს პროცესი ეფუძნება როგორც ინდივიდუალურ პედაგოგიურ გამოცდილებას, ისე კოლეგიალურ თანამშრომლობას. კურიკულუმის გადამუშავებისას მასწავლებლები სიღრმისეულად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას, მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებს, სწავლის პროცესში გამოკვეთილ სირთულეებსა და კოლეგების მიერ გაზიარებულ წარმატებულ სტრატეგიებს. ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია

მონიტორინგი და შეფასება, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება მიმდინარე აქტივობები დასახულ მიზნებსა და დაგეგმილ ჩარჩოს.

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და ეყრდნობა კათედრებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის მჭიდრო კომუნიკაციას. კვლევისა და შეფასების პროცესი წარიმართება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით, განსაზღვრულ ვადებში და მოიცავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას:

პირველ რიგში, ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მათი დროული აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. მეორე მიმართულება ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე სკოლის ბაზაზე, სადაც პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ხდება უშუალო სამუშაო გარემოში. მესამე, ინსტიტუციური განვითარების დონეზე, სკოლა ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებასა და ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამგვარი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის არა მხოლოდ ფორმალურ არსებობას, არამედ მის რეალურ გავლენას სწავლების ხარისხზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის რევიზიის დოკუმენტი
- შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელების ანალიზი
- მოსწავლეთა ნამუშევრები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

თარიღი: 16.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარიამ ღუბელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლია სვიმონიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი